

შეუსაბამებელი დადასტო 11 წლის შედეგებზე

წერილი, რომელიც ბაიდენის
ადმინისტრაციას ევროპის
უსაფრთხოების დაცვაში
დაეხმარება

იბინა პრაპიძე,
*საერთაშორისო ურთიერთობების
სპეციალისტი*

“ჩვენი ერები უაღრესად დავალებულნი არიან ამერიკის შეერთებული შტატების წინაშე. ბევრმა ჩვენგანმა პირადი გამოცდილებით იცის თუ როგორი მნიშვნელოვანი იყო თქვენი მხარდაჭერა ჩვენი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ცივი ომის ბნელ წლებში. ამერიკის ჩართულობა და მხარაჭერა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო ჩვენი დემოკრატიული ტრანსფორმაციის წარმატებისათვის 20 წლის წინ, როდესაც რკინის ფარდა დაეცა. ვაშინგტონის ხედვისა და ლიდერობის გარეშე ნაკლებ სავარაუდოა, რომ ჩვენ დღეს ნატოსა და ევროკავშირის წევრები ვყოფილიყავით.”



2009 წელს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის გამოჩენილმა პოლიტიკურმა და სამოქალაქო მოღვაწეებმა ამერიკის ყოფილ პრეზიდენტს ბარაკ ობამას ამ სიტყვებით [მიმართეს](#). ღია წერილის ხელმომწერებს შორის იყვნენ ვალდას ადამკუსი, ვაცლავ ჰაველი და ლეხ ვალენსა.

წერილის ავტორებმა ტრანსატლანტიკურ ურთიერთობებში არსებულ პრობლემებზე და რეგიონში ამერიკის როლზე ისაუბრეს. მთლიანი, თავისუფალი და მშვიდობიანი ევროპის შესანარჩუნებლად მათ ობამას კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა შესთავაზეს. მათ შორის იყო ნატოს მხარდაჭერა, რუსეთთან სახიფათო დათმობებზე წასვლის თავიდან აცილება, ენერგოუსაფრთხოების დაცვა და ამერიკასა და ცენტრალური და აღმოსავლეთის ევროპის ქვეყნებს შორის ახლო კავშირის შენარჩუნება.

ამ წერილის გამოქვეყნებისას ჯო ბაიდენი ვიცე პრეზიდენტის პოსტს იკავებდა. ის ამჟამად ამერიკის პრეზიდენტია. მნიშვნელოვანია შევაფასოთ როგორ განვითარდა მოვლენები წერილის გამოქვეყნებიდან ერთი დეკადის მანძილზე, რა დასკვნების გამოტანა შეგვიძლია და როგორი უნდა იყოს ამერიკის ადმინისტრაციის პოლიტიკა ჩვენ რეგიონში დღეს.

რა მოხდა 11 წლის მანძილზე?

ღია წერილის ავტორები ხაზს უსვამდნენ, რომ ამერიკასა და ევროპას ერთმანეთი ისევე ისე სჭირდებათ როგორც წარსულში და პრეზიდენტ ობამას სთხოვდნენ ევროკავშირთან ურთიერთობა სტრატეგიულად უფრო მაღალ საფეხურზე აეყვანა. მას შემდეგ ევროპასა და ამერიკას შორის ერთიანი პოზიცია როგორც პოლიტიკურ, ისე უსაფრთხოების და ეკონომიკურ საკითხებზე კიდევ უფრო დაშორდა ერთმანეთს.

მიუხედავად იმისა, რომ ბაიდენის ადმინისტრაცია ევროპასთან ურთიერთობის გადატვირთვის დაპირებით მოვიდა, კომენტატორები ღიად [წერენ](#) ინტერესთა იმ ფუნდამენტურ სხვაობაზე, რაც ევროპასა და ამერიკას შორის უსაფრთხოების თემებზე [არსებობს](#). ევროკავშირის წამყვანი ქვეყნები [არ არიან](#) მზად რუსეთსა და ჩინეთს დაუპირისპირდნენ, მაშინ როდესაც ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების მთავარი გამოწვევა მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში ამ ქვეყნებთან პაექრობა იქნება.

ევროკავშირსა და ამერიკას შორის ერთიანი ფრონტის დასუსტების ყველაზე ცხადი ბოლოდროინდელი მაგალითი ჩინეთთან გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებაა. ხელშეკრულება, რომელიც ევროპის ჩინეთზე დამოკიდებულებას [ბრდის](#), იმ პირობებში გაფორმდა როდესაც ევროკავშირს მსგავსი შეთანხმება ამერიკასთან ჯერაც არ აქვს. მოლაპარაკებები პრეზიდენტ ობამას პერიოდში შევიდა ჩიხში, რადგან მხარეები პირობებზე ვერ შეთანხმდნენ.

ევროპას არც 5G-ის სისტემების თემაზე აქვს ამერიკასთან ერთიანი ფრონტი. ჩინური ტექნოლოგიის გამოყენება [ბრიტანეთმა](#) და [შვედეთმა](#) აკრძალეს, ხოლო გერმანია და საფრანგეთი ღია დაპირისპირებისგან თავს იკავებენ.

ურთიერთობა რუსეთთან

პრეზიდენტ ობამასთვის გაგზავნილი ღია წერილის ავტორებმა 11 წლის წინ შეშფოთება გამოთქვეს იმ უმოქმედობაზე, რომელიც ატლანტიკურმა ალიანსმა რუსეთის მიერ საქართველოში შემოჭრის დროს გამოიჩინა. მათ პრეზიდენტი გააფრთხილეს, რომ დასავლური ინტერესების ვიწრო ჭრილში განხილვას შესაძლოა რუსეთის მიმართ არასწორ დათმობებზე წასვლა მოჰყოლოდა.

2009 წლის სექტემბერში პრეზიდენტმა ობამამ წინა ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება [გააუქმა](#) და ჩეხეთსა და პოლონეთში სარაკეტო სისტემების განთავსებაზე უარი თქვა. რუსეთს, რომელიც გამალებით ეწინააღმდეგებოდა ამ პროცესს სანაცვლოდ არაფერი დაუთმია.

ჩეხეთის ყოფილი საგარეო და თავდაცვის მინისტრი ალექსანდრ ვონდრა [იხსენებს](#), რომ წერილმა ვაშინგტონსა და ბრიუსელში ისტერიული რეაქცია გამოიწვია. ის ამბობს, რომ ევროპარლამენტში სოციალ-დემოკრატების ალიანსმა ხელმომწერებს “კონფრონტაციული ნეო-კონები” უწოდეს, რომლებიც “რუსეთის საფრთხის მიმართ ობსესიამ” დააბრმავა. 5 წლის შემდეგ ვონდრა დაბეჭდვით ამტკიცებს, რომ ის ერთ სიტყვასაც არ შეცვლიდა გამოქვეყნებულ წერილში.

2009 წლის შემდეგ რუსეთის ქმედებები სამეზობლოში კიდევ უფრო აგრესიული გახდა. საქართველოს ოკუპირებული რეგიონებიდან ჯარის გაყვანის ნაცვლად, რუსეთმა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში 8000-ზე [მეტე](#) ჯარისკაცი და სამხედრო ტექნიკა განალაგა და ამ ტერიტორიების ფაქტური ანექსია მოახდინა.

ოთხი წლის შემდეგ რუსეთი უკრაინაში შეიჭრა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ევროპაში სახელმწიფო საზღვრები ძალისმიერი მეთოდით შეიცვალა. რუსეთის ეს ნაბიჯები დღემდე დაუსჯელი რჩება.

ევროკავშირმა რუსი ოპოზიციონერი ლიდერის ალექსეი ნავალის მოწამვლის და მისი დაპატიმრებისთვის თებერვლის ბოლოს მოსკოვს ახალი სანქციები [დაუწესა](#). დღემდე მოქმედებს უკრაინაში შეჭრისთვის რუსეთზე დაწესებული სანქციებიც, მაგრამ ამ პროცესის მიღმა ევროპას რუსეთის მიმართ ერთიანი პოლიტიკა არ [გააჩნია](#). არსად ჩანს რუსეთის შესაკავებლად კონსოლიდირებული ევროატლანტიკური სტრატეგია.

რუსეთის მიმართ შემრიგებლური პოლიტიკის ბოლო ნათელი მაგალითი ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურის ხელმძღვანელის იოზეფ ბორელის მოსკოვში თებერვალში გამართული [წარუმატებელი](#) ვიზიტი იყო. ის ნავალის დაპატიმრების მიუხედავად მოსკოვში ჩავიდა, სადაც რუსეთს შესაძლებლობა მისცა ევროკავშირის წამყვანი ფიგურა ღიად [დაემცირობინა](#).

ურთიერთობა ნატოსთან

ცივი ომის პერიოდში ევროპის უსაფრთხოების ქვაკუთხედი ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი იყო. საბჭოთა საფრთხის გაქრობის შემდეგ ნატო შენარჩუნდა და გაფართოვდა, მაგრამ ევროპის ქვეყნებმა უსაფრთხოებაში მნიშვნელოვანი ინვესტიციის ჩადება შეწყვიტეს. ევროპიდან სამხედროების და შეიარაღების დიდი ნაწილი გაიყვანა ამერიკამაც.

პრეზიდენტ ობამასთვის გაგზავნილ წერილში, ავტორები წერდნენ, რომ შეცდომა იყო ნატოს გაფართოების შემდეგ მეხუთე მუხლით გათვალისწინებული თავდაცვის გეგმების შედგენის გვერდზე გადაღება. ისინი ამბობდნენ, რომ კრიზისის შემთხვევაში ალიანსს მისი ყველა წევრის დაცვა უნდა შეეძლოს. 2017 წელს გამოცემულ რენდის კორპორაციის კვლევაში რუსეთს ბალტიის ქვეყნების სამივე დედაქალაქამდე მიღწევა 60 საათში [შეუძლია](#). ნატოს წევრი ევროპული ქვეყნების თავდაცვის ხარჯები კი, ამის მიუხედავად, თანამომადლად არ გაზრდილა.

ეს თემა წლებია განხეთქილების საგანია ტრანსატლანტიკურ ურთიერთობებში. ევროპის თავდაცვის ხარჯებით განაწყენებულმა ობამამ, მისი პრეზიდენტის რანგში ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში ევროპელებს “უბილეთო მგზავრები” [უწოდა](#). ამ თემაზე ბევრად უფრო [კრიტიკული](#) იყო პრეზიდენტი ტრამპი. 2014 წელს ნატოს

წვერი მხოლოდ სამი სახელმწიფო ამერიკა, ბრიტანეთი და საბერძნეთი [ხარჯავდა](#) GDP-ის 2%-ს თავდაცვაზე. მიუხედავად აღებული ვალდებულებისა, დღეს ნატოს წევრთაგან მხოლოდ [ათი](#) სახელმწიფო ხარჯავს 2%-ს ან მეტს. მოსალოდნელია, რომ თავდაცვის ხარჯების საკითხს პრეზიდენტი ბაიდენიც დააყენებს ევროპელებთან.

ამ პირობებში, საფრანგეთის ლიდერი ემანუელ მაკრონი აქტიურად ლობირებს ევროპის სტრატეგიული ავტონომიის [იდეას](#) და რუსეთის მიმართ შემრიგებლური ტონით [გამოთქვას](#). ერთ-ერთ ინტერვიუში მან ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს “ტვინმკვდარი”-ც კი [უნდა](#), რასაც რუსეთი, როგორც მოსალოდნელი იყო, კმაყოფილებით [გამოეხმაურა](#). ევროპის სტრატეგიული ავტონომია კონტინენტის ამერიკისგან დისტანცირებას [ემსახურება](#). ეს მოვლენების ნეგატიური განვითარებაა, რადგან ევროპაში ამერიკის გავლენის შესუსტება ჩინეთსა და რუსეთს მხოლოდ აძლიერებს. ევროკავშირს ამ სახელმწიფოებთან ღია პაექრობის არც სამხედრო პოტენციალი და არც სურვილი აქვს.

სულ ცოტა ხნის წინ, გერმანიის კანცლერმა ლიად [განაცხადა](#), რომ ამერიკა-ჩინეთის დაპირისპირებაში ევროპა მიუმხრობელი უნდა დარჩეს. ბაიდენის ადმინისტრაციისთვის, რომელიც დემოკრატიული სოლიდარობის პრინციპით ევროპისგან თანამშრომლობას ელოდა, ეს მნიშვნელოვანი [იმედგაცრუებაა](#).

“დიდ სახელმწიფოთა პაექრობა ერთი-ერთზე გამართული დუელის შთაბეჭდილებას ტოვებს: ათენი სპარტას წინააღმდეგ, რომი კართაგენის წინააღმდეგ, მოსკოვი ვაშინგტონის წინააღმდეგ. თუმცა, ეს შეჭიბრი დაპირისპირებულ მხარეებს შორის მყოფი სახელმწიფოების ერთგულებისთვის ბრძოლაც არის, რაც იმას ნიშნავს, რომ მათზე მცირე სახელმწიფოების არჩევანმა შესაძლოა ზესახელმწიფოების ბედი გადაწყვიტოს” – წერს ჰალ ბერნსი ამერიკა-ჩინეთის პაექრობაში მოკავშირეების როლზე [საუბრისას](#). 5G-ის ტექნოლოგაზე დაპირისპირებაც ცხადყოფს, რომ ამერიკას ჩინეთთან ევროპის გარეშე პაექრობა გაურთულდება.

ენერგოუსაფრთხოება

2009 წელს პრეზიდენტ ობამასთვის მიწერილ ღია წერილში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკურმა მოღვაწეებმა დიდი ყურადღება დაუთმეს ენერგოუსაფრთხოების თემასაც. “ამერიკის მხარდაჭერის გარეშე ბაქო-თბილისი-ჯეიხანის ნავთობსადენი არასოდეს აშენდებოდა. ენერგოუსაფრთხოება ამერიკასა და ევროპას შორის სტრატეგიული თანამშრომლობის განუყოფელი ნაწილი უნდა გახდეს” – წერდნენ ისინი. შესაბამისად, ავტორებმა ამერიკას ენერგომომარაგების წყაროების დივერსიფიკაციაში დახმარება სთხოვეს.

11 წლის შემდეგ გერმანიამ რუსეთისთვის გეოპოლიტიკურად უაღრესად მომგებიანი ნორდსტრიმ ორის გამსაღების მშენებლობა თითქმის დაასრულა. 1200 კილომეტრიანი პროექტიდან დღეს მხოლოდ 75 კილომეტრი [დარჩა](#) ასაშენებელი. პროექტი, ტრამპის ადმინისტრაციის მიერ [სანქციების](#) დასწესების შემდეგ დროებით შეჩერდა. მედიის [ცნობით](#) მშენებლობა თებერვალში განახლდა, მაგრამ ვაშინგტონი [სანქციების ამოქმედებას](#) ბერლინთან ურთიერთობის დაბობის სურვილით [არ ჩქარობს](#).

ამერიკის გავლენის და როლის შესუსტება

დღეს ამერიკის გავლენა და დასავლეთის მხარდამჭერი ძალები ჩვენს რეგიონში ბევრად უფრო მოწყვლად პოზიციაში არიან ვიდრე 11 წლის წინ.

პრეზიდენტ ობამასთვის გაგზავნილი ღია წერილის ავტორებმა 2009 წელს გამოთქვეს წუხილი, რომ რეგიონში მმართველი ელიტები იცვლებიან და ისინი შესაძლოა ამერიკის გვერდით ისე მტკიცედ აღარ დადგნენ, როგორც წარსულში. ამ ელიტებს თავის თავზე არ გამოუცდიათ 1989 წლის რევოლუციები და ამერიკის როლი დემოკრატიული ტრანსფორმაციის პროცესში. წერილის ავტორები შიშობდნენ, რომ ამერიკასთან

მჭიდრო კავშირის შენარჩუნების გარეშე, პრო-დასავლური ვექტორის დაცვა გართულდებოდა.

მას შემდეგ ჩვენს რეგიონში დემოკრატიული უკუსვლის შემამფოთებელი ნიშნები ვიხილეთ. საქართველოში მიმდინარე [მოვლენებიც](#) ცხადყოფს, რომ ქვეყანა ურთულეს პოლიტიკურ პროცესს გადის.

ჩვენი ქვეყნის 30 წლიანი დამოუკიდებლობის პერიოდში დაგროვილი გამოცდილება გვაჩვენებს თუ რა ტიპის პროცესი ქმნის დასავლურ გავლენას ქვეყანაში და რა ასუსტებს მას. ღერძი, რომლის გარშემოც ეს აღმასვლა და უკუსვლა ტრიალებს ამერიკის ძალის აღქმაა.

1990-იან წლებში, ჩარლზ კრაუტჰამერის [სიტყვებით](#), ამერიკამ უნიპოლარული მომენტი გამოსცადა. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, ის ერთადერთი ზესახელმწიფო გახდა მსოფლიოში. ქვეყანას უზარმაზარი შესაძლებლობები და გავლენა გააჩნდა. ამ პერიოდში რეგიონის ქვეყნები, განსხვავებული პრობლემების მიუხედავად, ამერიკაში საკუთარი უსაფრთხოების მტკიცე გარანტს ხედავდნენ. დღეს ეს მოცემულობა შეცვლილია. აკადემიურ წრეებსა და მედიაში არ წყდება კამათი ამერიკის ძალის ფარდობით დაკნინებაზე და ქვეყნის მიერ მისი გლობალური როლისგან [უკან დახევის](#) პროცესზე. ცივი ომის პერიოდისგან განსხვავებით, ამერიკის მიერ შექმნილი გლობალური მსოფლიო წესრიგის დაცვის სურვილი [განელებულია](#) ამერიკის პოლიტიკურ ელიტასა და მოსახლეობაშიც.

ჩვენ რეგიონში ამერიკის როლის შემცირების ერთ-ერთი ნათელი მაგალითი მთიან ყარაბაღში შარშან განვითარებული მოვლენებია. სამშვიდობო შეთანხმება დასავლელი მომრიგებლების, ამერიკისა და საფრანგეთის, გარეშე გაფორმდა. ზავის ფონზე საერთაშორისო მინსკის ფორმატი ფაქტიურად გაუქმდა. ამით ეს დაპირისპირება ადგილობრივი ძალების გარიგებით გადაწყდა და კონფლიქტების მოგვარების ავტორიტარული მოდელი გაძლიერდა.

ალიევმა საზავო შეთანხმების გაფორმების შემდეგ სიტყვით გამოსვლისას [განაცხადა](#), რომ მაშინ, როდესაც ყველა ამბობდა, რომ ყარაბაღის კონფლიქტს ძალისმიერი გადაწყვეტა არ აქვს, ის საპირისპიროს ამტკიცებდა და მართალი გამოდგა. ალიევმა დასავლეთის მონაწილეობით წარმართული 30 წლიანი დიპლომატიური პროცესიც გააკრიტიკა და თქვა, რომ ამან შედეგი ვერ მოიტანა.

არასტაბილური მდგომარეობაა სომხეთშიც, სადაც მხოლოდ გასულ კვირას ქვეყნის პრეზიდენტმა ნიკოლ ფაშინიანმა სამხედროები გადატრიალების მცდელობაში [დაადანაშაულა](#). ფაშინიანს, რომელიც დემოკრატიული ტალღის ფონზე მოვიდა, აზერბაიჯანთან ომის წაგების შემდეგ ნაციონალისტური და პრორუსული ძალები უპირისპირდებიან. სომხეთის მარცხი მათ საშუალებას [აძლევს](#) დასავლური და დემოკრატიული იდეები ფაშინიანის დისკრედიტაციისთვის გამოიყენონ და მას ბრალს რუსეთთან დისტანცირებასა და ევროპისა და ამერიკის მხარდაჭერის ფუჭ მოლოდინში სდებენ.

ბაიდენის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკა ჩვენ რეგიონში: როგორ უნდა იმოქმედოს ამერიკამ?

როგორც წარსულში ისე დღეს ჩვენი რეგიონი მრავალი გამოწვევის წინაშე დგას. პრეზიდენტ ბაიდენის ადმინისტრაციას შეუძლია იმგვარი ნაბიჯები გადადგას, რომელიც როგორც ამერიკის როლს გააძლიერებს ისე რეგიონში მიმდინარე უკუსვლის პროცესს შეაჩერებს. ეს პოლიტიკა ორი თემის გარშემო შეგვიძლია დავაჯგუფოთ. [უსაფრთხოება](#) და [ღირებულებები](#).

უსაფრთხოება

თებერვალში მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე ბაიდენმა მსოფლიოს კიდევ ერთხელ უთხრა, რომ “ამერიკა დაბრუნდა.” “პუტინი ცდილობს დაასუსტოს ევროპული პროექტი და ჩვენი ნატოს ალიანსი. მას სურს ტრანსატლანტიკური ერთიანობის და ჩვენი სიმტკიცის დასუსტება, რადგან კრემლისთვის ბევრად უფრო ადვილია დააშინოს და დაემუქროს სახელმწიფოებს ინდივიდუალურად, ვიდრე მოელაპარაკოს ძლიერ და მჭიდროდ შეკრულ ტრანსატლანტიკურ საზოგადოებას. სწორედ ამიტომ, უკრაინის სუვერენიტეტისა

და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატებისთვის უმნიშვნელოვანეს პრობლემად რჩება” – [განაცხადა](#) ბაიდენმა სიტყვით გამოსვლისას. მან დასძინა, რომ ამერიკას “სურს იმგვარი მომავალი სადაც ყველა ერს, ძალადობის, მუქარის ან იძულების გარეშე შეუძლია თავისუფლად განსაზღვროს საკუთარი გზა.”

როგორი პოლიტიკა უნდა გაატაროს ბაიდენის ადმინისტრაციამ ჩვენ რეგიონში ამ მიზნის მისაღწევად?

მთლიანი, თავისუფალი და მშვიდობიანი ევროპის იდეას რუსეთზე დიდი მონინააღმდეგე არ ჰყავს. თუ ამერიკა ევროპის უსაფრთხოებაზე სერიოზულად ფიქრობს, ბაიდენის ადმინისტრაციამ რუსეთის წინააღმდეგ შეკავების პოლიტიკა უნდა გააძლიეროს და სტრატეგია ქმედებებში თარგმნოს.

სახელმწიფოებს მონინააღმდეგეებთან შეჯიბრში სჭირდებათ სამხედრო ძალა, მისი გამოყენების მზაობის დემონსტრირება და ძლიერი ალიანსების სისტემა. რუსეთის შემთხვევაში ამერიკამ სამივე კომპონენტი უნდა გაააქტიუროს. ამ პროცესში მნიშვნელოვანია ბაიდენის ადმინისტრაციამ:

1. *გაზარდოს სამხედრო კონტიგენტი და შეიარაღება ევროპაში;*
2. *გააღრმავოს უსაფრთხოების თანამშრომლობა რეგიონის ნატოს არანევრ სახელმწიფოებთან;*
3. *რუსეთთან დაპირისპირებაში მთავარ მოკავშირეებად ფრონტისპირა სახელმწიფოები აირჩიოს;*
4. *და გააძლიეროს ის თანამშრომლობის ფორმატები, რომლებიც ჩვენი რეგიონის ქვეყნებს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპას მჭიდროდ დაუკავშირებს.*

სამხედრო კონტიგენტი და შეიარაღება

რუსეთთან შეჯიბრში ამერიკას ღირებული სახელმძღვანელო აქვს. ეს ცივი ომის [გამოცდილებაა](#). წარსულის მსგავსად, რუსეთს დღესაც აკავებს ძალის დემონსტრირება, ხოლო სისუსტე აპროვოცირებს.

ამჟამად ამერიკის ევროპის სარდლობაში მხოლოდ 70,000-მდე ამერიკელი სამხედრო [მსახურობს](#). ამ ფონზე, რუსეთის დასავლეთის სამხედრო [თღქმში](#), რომელიც ევროპას ესაზღვრება, 300,000-მდე ჯარისკაცია [განლაგებული](#). ცივი ომის დროს ამერიკას ევროპაში რამოდენიმე ასეული ათასი ჯარისკაცი ჰყავდა გაგზავნილი და ფრონტისპირა სახელმწიფოს, გერმანიას, 200,000-ზე მეტი სამხედროთი [იცავდა](#).

დღეს ამ ხაზმა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში გადმონინაცვლა. შესაბამისად, საჭიროა ძალის კონცენტრაცია გეოგრაფიულად ამ რეგიონში მოხდეს. ამასთან, ამერიკას შეუძლია ახალი ენერჯია შესძინოს რუმინეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვან [ინიციატივას](#), რომელიც შავ ზღვაზე ნატოს მუდმივი ფლოტის შექმნას გულისხმობს. ქვეყანა წლებია ცდილობს დასავლეთის [ყურადღება](#) შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხებს მიაპყროს.

უსაფრთხოების თანამშრომლობა ნატოს არანევრ სახელმწიფოებთან

კრიტიკულად მნიშვნელოვანია ამერიკამ საქართველო, უკრაინა და მოლდოვეთი ორმხრივი სამხედრო თანამშრომლობის ფორმატში ჩართოს. სანამ საქართველო და უკრაინა ნატოს წევრები არ არიან, ამერიკას შეუძლია ორ ქვეყნას ნატოს მიღმა წამყვანი მოკავშირე სახელმწიფოს [სტატუსი](#) მინიჭოს. ეს ძლიერი პოლიტიკური სიგნალი და მნიშვნელოვანი პრაქტიკული დახმარება იქნება, რადგან სტატუსი სამხედრო თანამშრომლობის გააღრმავების შესაძლებლობას მოგვცემს.

2014 წელს, რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ, სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა წარმოადგინა [კანონპროექტი](#), სადაც საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინისთვის ნატოს მიღმა წამყვანი მოკავშირეს სტატუსი უნდა მიენიჭებინათ. ჩანაწერი კანონპროექტიდან მაშინ [ამოიღეს](#), მაგრამ ინიციატივის გააქტიურება დღესაც შესაძლებელია. საქართველოსა და უკრაინის უსაფრთხოების დაცვა რეგიონში სტაბილურობას შეუწყობს ხელს.

თანამშრომლობა ჩვენი ქვეყნებისთვის თავდაცვით იარაღზე ხელმისაწვდომობასაც უნდა გულისხმობდეს. აღსანიშნავია, რომ ამერიკის სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი და ეროვნული უსაფრთხოების მდივანი ჯეიკ სალივანი ობამას ადმინისტრაციაში უკრაინასა და საქართველოსთვის თავდაცვითი იარაღის მიწოდების [მომხრეები](#) იყვნენ. ბაიდენის პრეზიდენტობის პირობებში აუცილებელია ამ პოზიციას ქმედითი ნაბიჯები მოჰყვეს.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის ან ნატოს სამხედრო ბაზის განლაგება საქართველოში ამჟამად ნაკლებ-სავარაუდოა, არსებობს ალტერნატივები.

ერთ-ერთი ასეთი [შემთავაზება](#) აშშ-ის ძალების ევროპული სარდლობის ყოფილი მეთაურის, გენერალ ბენ ჰოჯესს [ეკუთვნის](#), რომელიც აღმოსავლეთ ევროპაში, უკრაინასა და საქართველოში როტაციული ძალების განთავსების იდეას ემხრობა.

საქართველო და უკრაინა ასევე მნიშვნელოვანი დასაყრდენია შავი ზღვის უსაფრთხოების კონტექსტშიც. ამერიკას შეუძლია ორ ქვეყანას სამხედრო პოტენციალის გაძლიერებაში [დაეხმაროს](#), რაც რუსეთის წინააღმდეგ ერთიანი შეკავების პოლიტიკის ფარგლებში, დასავლეთის პოზიციებს კიდევ უფრო გააძლიერებს.

ევროპის უსაფრთხოების დასაცავად ასევე [მნიშვნელოვანია](#) ამერიკამ ბელარუსის რუსეთის გავლენისგან გასათავისუფლებლად იმუშაოს. გასულ წელს ამერიკის ყოფილი სახელმწიფო მდივანის მაიკ პომპეოს ვიზიტი მინსკში [მნიშვნელოვანი](#) ნაბიჯი იყო. ბელარუსის რუსეთზე პოლიტიკური და ეკონომიკური დამოკიდებულების შემცირება საჭიროა ბაიდენის ადმინისტრაციის პრიორიტეტი გახდეს.

ფრონტისპირა სახელმწიფოები და რეგიონული ფორმატები

ევროპის ქვეყნებს დღეს ეროვნული უსაფრთხოების განსხვავებული პრიორიტეტები აქვთ. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისთვის რუსეთი ეგზისტენციალური საფრთხეა, ხოლო დასავლეთ ევროპის რიგი სახელმწიფოსთვის რუსეთთან პაექრობა ცივ ომთან ერთად დასრულდა.

შეკავების პოლიტიკის გასატარებლად ამერიკის ყვლაზე ერთგული პარტნიორები რუსეთის ფრონტისპირა სახელმწიფოები არიან. ამერიკის სტრატეგიული ინტერესები მათი უსაფრთხოების ინტერესებს ზედმიწევნით ემთხვევა. შესაბამისად, ეს ქვეყნები მზად არიან ყველაზე მეტი გაიღონ ერთიანი შეკავების პოლიტიკის ფარგლებში შემუშავებული სტრატეგიის სისრულეში მოსაყვანად.

ამერიკა ევროპის უსაფრთხოებას ნატოს ფორმატში უზრუნველყოფს, ხოლო საქართველო და უკრაინა ალიანსის წევრები ჯერ-ჯერობით არ არიან. გარდამავალ პერიოდში საჭიროა ამერიკამ ისეთი ფორმატების შექმნას ან გააქტიურებას დაუჭიროს მხარი, სადაც ჩვენი ქვეყნებს შემლუდვის გარეშე შეეძლებათ ჩართვა. რუსეთის გარშემო ფრონტისპირა სახელმწიფოების ერთიანი თავდაცვითი ჯაჭვის შეკვრას ჩვენი რეგიონის ქვეყნების მონაწილეობა სჭირდება.

ერთ-ერთი ასეთი [პლატფორმა](#) სამი ზღვის ინიციატივაა, რომელიც ბალტიის, შავი და ადრიატიკის ზღვების სარტყელში მოქცეული სახელმწიფოების სავაჭრო, ენერგო და ციფრული კავშირგაბმულობის პროექტებით დაახლოვებისთვის შეიქმნა. პროექტი, ინფრასტრუქტურული, ენერგო და ეკონომიკური ინიციატივებით ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში რუსეთისა და ჩინეთის გავლენის შემცირებას [უნწყობს ხელს](#). ინიციატივა ამერიკის წინა ადმინისტრაციისგან [მხარდაჭერით](#) სარგებლობდა. ამერიკამ სამი ზღვის საინვესტიციო ფონდში ენერგო პროექტების მხარდასაჭერად \$1 მილიარდის ინვესტირების სურვილი [გამოთქვა](#). ბაიდენის

ადმინისტრაციას შეუძლია გეგმა კიდევ უფრო ამბიციური გახადოს და ფორმატის გაფართოვებით ჩვენი რეგიონის ქვეყნებიც ჩართოს პროცესში. პროექტისთვის კასპიის ზღვის მიმატებით ის შეიძლება ოთხი ზღვის ინიციატივად გარდაიქმნას.

სამი ზღვის ინიციატივის იდეა 1918-1922 წლებში პოლონეთის რესპუბლიკის პირველი მეთაურის იუზეფ პილსუდსკის სახელს უკავშირდება. ის ინტერმარიუმის სახელით არის ცნობილი. რუსეთის შესაკავებლად პილსუდსკის სურდა პოლონეთი ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა რკალში მოექცია და საბჭოთა დომინაციის ქვეშ მყოფი ქვეყნების განთავისუფლებას დახმარებოდა. უკრაინა, ბელარუსი, სომხეთი, საქართველო და აზერბაიჯანი ამ გეგმის ნაწილი იყო. ამერიკის შესაკავების პოლიტიკის გასაძლიერებლად ამ იდეას დღესაც მნიშვნელოვანი შედეგები შეუძლია მოიტანოს.

ღირებულებები

23 თებერვალს, საქართველოში მთავარი ოპოზიციური პარტიის ლიდერის დაკავების ფონზე, ქვეყანა დასავლეთის უპრეცედენტო ყურადღების ცენტრში მოექცა. შეიძლება ითქვას 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ამხელა გამოხმაურება საქართველოში მიმდინარე მოვლენებს არ მოჰყოლია. დაინერა ათობით სტატია. მომხდარზე უმკაცრესი კომენტარი გააკეთა ამერიკის საელჩომ. დაკავებას გამოეხმაურა სახელმწიფო დეპარტამენტი, ევროკავშირი და საერთაშორისო ინსტიტუტები. ქვეყანა კრიტიკის ქარცხცხლში მოყვა ყოფილი და ახლანდელი დიპლომატების და პოლიტიკური მოღვაწეების მხრიდანაც, რომეთლაც საქართველოს ბედი ადარდებთ.

გარდა გამოხმაურებების სიმწვავისა, 2008 წლის 7 აგვისტოსა და 23 თებერვალს შორის ერთი თვალშისაცემი მსგავსებაა. ორივე მოვლენა დასავლეთისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა, რასაც ჯერ შემფოთება, ხოლო შემდეგ ქმედებებისკენ მოწოდება მოჰყვა.

უნდა ყოფილიყო თუ არა ეს ორი მოვლენა მოულოდნელი? ორივე დღე საერთაშორისო ურთიერთობებში შეკავების სახელით ცნობილი პოლიტიკის ჩავარდნით შეგვიძლია ავხსნათ.

შეკავების პოლიტიკა მარტივ ლოგიკას ეფუძნება. მოწინააღმდეგის შესაჩერებლად მას ცხადად უნდა ესმოდე, რომ მტრული ქმედების განხორციელებით მიღებული ზიანი ბევრად აჭარბებს მოგებას. როდესაც ოპონენტი შენზე ბევრად ძლიერია მას პირდაპირ ვერ შეებრძოლები. ამის ნაცვლად, შენთვის მნიშვნელოვან თემებზე მას მცირე გამოცდას უწყობ და აკვირდები როგორ პასუხს დაგიბრუნებს.

რაც მეტი გაგდის მით მეტად გეხსნება ასპარეზი და იმ წითელი ხაზების დარღვევას იწყებ, რომელიც წარსულში ოპონენტმა გაგივლო. იმისთვის, რომ შეკავების პოლიტიკამ იმუშაოს მხოლოდ სამხედრო სიძლიერე არ არის საკმარისი. მოწინააღმდეგე დარწმუნებული უნდა იყოს შენი ნების სიმტკიცეში. რევიზიონისტი სახელმწიფოები ამერიკის სიძლიერიდან გამომდინარე ქვეყნის წინააღმდეგ პირდაპირ შეტევაზე დღემდე ვერ გადადიან, მაგრამ მსოფლიოს ყველა რეგიონში ცდიან მის სიმტკიცეს.

2008 წლის აგვისტოს ომამდე რუსეთის ქმედებები რომ გავისხსენოთ, ამერიკისთვის მოწყობილ ბევრ მცირე გამოცდას დავინახავთ. მათ შორის იყო რამოდენიმე თვალსაჩინო გადაცდომა. რუსეთმა 2007 წელს ევროპაში კონვენციურ შეიარაღებაზე შეთანხმება დატოვა. ერთი წლით ადრე რუსეთმა საქართველოზე გამავლ ჩრდილოეთ-სამხრეთის გამსადენზე დივერსიული აქტი მოაწყო, ხოლო ერთი წლის შემდეგ წითელუბანის ტერიტორია დაბოძა. 2008 წელს რუსეთმა აფხაზეთში რკინიგზა აღადგინა და ჩრდილოეთ კავკასიაში სამხედრო წვრთნა ჩაატარა, სადაც საქართველო ღია სამიზნედ იყო აღებული. ამ ფონზე, საქართველომ 2008 წლის ნატოს ბუქარესტის სამიტზე მხარდაჭერის მტკიცე სიგნალი ვერ მიიღო. შედარებით მცირე გადაცდომებზე თვალის დახუჭვამ ვლადიმერ პუტინს აფიქრებინა, რომ დიდი გადაცდომებიც შერჩებოდა. ის ჯერ-ჯერობით მართალი გამოდგა.

მსგავსი პრინციპი არეგულირებს ამერიკის მიერ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების მხარდაჭერას ქვეყნის შიგნით. მცირე გადაცდომებსა და უკუსვლაზე თვალის დახუჭვას უფრო დიდ დარღვევებამდე მიგყვართ. საქართველოში ამჟამად მიმდინარე პროცესი ამერიკისთვის საშიშია არა მხოლოდ იმიტომ, რომ

სტრატეგიული პარტნიორის დემოკრატიულ მომავალს ეხება. ამ პროცესს აკვირდებიან ის სახელმწიფოებიც, რომლებიც ცდილობენ გაიგონ რამდენად აქტიურად აპირებს ბაიდენის ადმინისტრაცია დემოკრატიის და ადამიანის უფლებების დაცვას მათ რეგიონში. თუ მიუღებელი ქცევა იმ სახელმწიფოს გასდის, რომელისთვისაც ამერიკა მთავარი დასაყრდენია საერთაშორისო ასპარეზზე, ეს ცხადი სიგნალია, რომ უფრო მეტი გავლენის მქონე სახელმწიფოებს გზა ეხსნებათ ამერიკის მოწოდებები აღარ შეისმინონ.

ჩვენი რეგიონის ქვეყნების ლიბერალურ-დემოკრატიულ სახელმწიფოებად ჩამოყალიბება იმდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული ეროვნულ უსაფრთხოებასთან, რომ ეს ერთი მედლის ორი მხარეა. კორუფციით და ნეპოტიზმით მართული ქვეყანა რუსეთის ორბიტაში დაბრუნებას ნიშნავს, ხოლო დასავლური მოდელის სახელმწიფოს შექმნა თავისუფლების შენარჩუნებას და რუსეთის გავლენისგან თავის დაღწევას.

მნიშვნელოვანია რეგიონში ჩინეთის მზარდი ძალის შეკავებაც, რომელიც ეკონომიკურ შესაძლებლობებს და საინვესტიციო პროექტებს გავლენის ინსტრუმენტად [იყენებს](#). საქართველოს და ჩინეთს [გაფორმებული](#) აქვთ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება და ქვეყანა სიდიდით საქართველოს [მესამე](#) სავაჭრო პარტნიორია. ახალი აბრეშუმის გზის პროექტის ფარგლებში ჩინეთი ასევე [დაინტერესებულია](#) საქართველოს პორტებით, აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალით და რკინიგზით.

ამასთან, ჩინეთის მზარდი ძალა პრობლემურია იმ მხრივაც, რომ ის სახელმწიფოებს, დასავლური მოდელისგან განსხვავებით, ეკონომიკურ ხაფანგში აბამს. ქვეყანა მმართველ ელიტებთან გარიგებით იღებს მისთვის სასურველ რესურსებს და წვდომას. ასეთ პირობებში მხოლოდ ვიწრო ჯგუფები ნახულობენ მოგებას. ამითი მოსახლეობის საერთო კეთილდღეობა არ უმჯობესდება. ჩინეთს ამგვარ ურთიერთობებში მდგრადი ინსტიტუტები არ სჭირდება.

ამის საპირისპიროდ, დასავლური მოდელი ინსტიტუტური განვითარებას გულისხმობს. ინსტიტუტები კერძო საკუთრების პატივისცემას, კანონის უზენაისობას და ადამიანის საბაზისო უფლებებს უზრუნველყოფენ. ეს საკუთარი შრომით კეთილდღეობის გაუმჯობესების საშუალებაა, რადგან ყველას თანაბარი შესაძლებლობა აქვს და ეკონომიკური საქმიანობა დაცულია. ჩინური მოდელისთვის მსგავსი პირობები სულაც არ არის საჭირო, რაც ქვეყნის განვითარებისთვის საზიანოა.

როგორც ჩინეთი ასევე რუსეთი თავისუფლად მოქმედებს იმ ქვეყნებში სადაც სახელმწიფო ინსტიტუტები მოშლილია და ხელისუფლება საზოგადოების საბაზისო საჭიროებებს ვერ პასუხობს. ამ პროცესში რუსეთი, რომელსაც ჩვენნაირ ქვეყნებში რბილი ძალის სუსტი ბერკეტები აქვს, რეგიონის ქვეყნების მიმხრობას დასავლეთისგან მათი განზიდვის პოლიტიკით ცდილობს.

ამის საპირისპიროდ, ამერიკას რბილი ძალის ინსტრუმენტების უხვი არჩევნი აქვს. ეკონომიკური მხარდაჭერა, განვითარებაზე ორიენტირებული დახმარება, საგანმანათლებლო და პროფესიული გაცვლითი პროგრამები ის მცირე ჩაცმონათვალია, რითაც ამერიკამ დამოუკიდებლობიდან დღემდე საქართველოს ტრანსფორმაციას შეუწყო ხელი. ამ პროცესში ქვეყანამ უკვე 4 მილიარდზე [მეტი დახარჯა](#). აუცილებელია მსგავსი ჩართულობა მომავალშიც გაგრძელდეს.

საქართველოში ამჟამად მიმდინარე მოვლენების პასუხად რუსეთში ამერიკის ყოფილმა ელჩმა მაიკ მაკფოლმა [დაწერა](#): “ნავალნის დაკავება პირველი ტესტი იყო. მიანმარი მეორე. საქართველო მესამეა. ბაიდენმა დემოკრატია და ადამიანის უფლებები პრიორიტეტად გამოაცხადა. ახლა დროა სიტყვები ქმედებებს მიუსადაგოს. ბაიდენი იცნობს საქართველოს. მე იქ მასთან ერთად 2009 წელს ჩავედი. მას შეუძლია მოახდინოს გავლენა.”

მაკფოლმა ზუსტად აღწერა მომენტის მნიშვნელობა. ახლა ჯერი ბაიდენის ადმინისტრაციაზეა.

